

ხელშეკრულება №1101/10/012
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი

18 იანვარი 2011 წ.

ერთის მხრივ ქ.თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობა, (შემდგომში „შემსყიდველი“). გამგებლისგიორგი ნიკოლაძის... სახით და მეორეს მხრივ შპს „სმარტექსის“, (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი დირექტორის გიორგი ახალაიას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 23-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საბაზი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საბაზს წარმოადგენს ქ. თბილისის დიდგორის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, დიდგორის რაიონის გამგეობის სამხედრო განყოფილებისგან საფოსტო გზავნილთა მიღება და ადრესატებზე გადაგზავნის საფოსტო მომსახურებაზე, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია: ქ. თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობის სამხედრო განყოფილების იურდიულ ან საფოსტო მისამართიდან საფოსტო გზავნილთა მიღება და გადაგზავნა ადრესატებზე საფოსტო მომსახურებით, ქ. თბილისისა და მთლიანად საქართველოს იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება სახელმწიფო იურისდიქცია.

3. ხელშეკრულების სამართო ღირებულება

3.1. გაწეული მომსახურების საფასური მიმწოდებლის მიერ საფოსტო გზავნილების გადაგზავნასა და დამატებით მომსახურებაზე განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №2-ით დადგენილი ტარიფების მიხედვით და შესასყიდი ობიექტის საერთო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს.....1599.40..... (....ერთიათასხუთასოთხმოცდაცხრამეტი ლარი 40 თეთრი..) ლარს, ყველა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს

5. ანგარიშსწორების პირობები (ფორმა), ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
- 5.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით.
- 5.3. შემსყიდველი ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრულ მომსახურების ღირებულებას უნაზღაურებს ხელშეკრულების 3.1. პუნქტით დადგენილი პირობების საფუძველზე, ყოველი მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
- 5.5. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.
- 5.6. ანგარიშსწორების ადგილია ქალაქი თბილისი.


6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

- 6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება – 2011 წლის 18 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: წყნეთი (სტალინის)დ. ამილახვარის 27ა.


7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
 - 7.1.1 საფოსტო გზავნილებათა გასაგზავნად გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულების მხარეთა მიერ ხელმოწერამდე მის მიერვე შეძენილი კონვერტები.

შემსყიდველი



მიმწოდებელი



7.1.2. სამისამართო მხარეს, ჩანაწერის ნაცვლად კონვერტსა და შეტყობინების ბარათზე გამოიყენოს სპეციალური შტამპი რომელშიც იქნება გამგზავნის ყველა საჭირო მონაცემები.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. გზავნილის კონვერტზე არ გამოიყენოს საფოსტო მარკები, ვინაიდან აღნიშნულის განხორციელების შემთხვევაში იგი შემსრულებელის მიერ მომსახურების საფასურში (გადაგზავნასა და დამატებით მომსახურების თანხაში) არ გაითვალისწინება.

7.2.2. გააგზავნოს მხოლოდ ნებადართული შიგთავსი.

7.2.3. გზავნილთა შიგთავსი (მხოლოდ იმ შიგთავსის შემთხვევაში, რომელიც უნდა ჩაიღოს კონვერტში) და შეავსოს დადგენილი ფორმით.

7.2.4. გზავნილების შეტყობინების ბარათები შეავსოს დადგენილი ფორმით (იხ. დანართი №3).

7.2.5. კურიერისათვის გადასაცემ საფოსტო გზავნილებს დაურთოს რეესტრი ორ ეგზემპლარად (იხ. დანართი №1) დამოწმებული ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით და იგივე რეესტრის ელექტრონული ან დოკუმენტური სახით მიაწოდოს შემსრულებელს მისთვის მოსახერხებელი გზით.

7.2.6. გზავნილებები კურიერს დაახვედროს სამუშაო დღის არაუგვიანეს 13:00 საათისა.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1. არ მიიღოს გასაგზავნად და უკან დაუბრუნოს დამკვეთს, არა სწორად ან არა სრულყოფილად, წინამდებარე ხელშეკრულების 7.2. პუნქტით განსაზღვრული ნებისმიერი პირობის დარღვევით გაფორმებული საფოსტო გზავნილი.

7.3.2. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შეუწყვიტოს მას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება მისთვის შესაბამისი წერილობითი გაფრთხილების გაგზავნიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუკი 2 (ორი) დღის ვადაში შემსყიდველი სრულყოფილად შეასრულებს ყველა შეუსრულებელ ვალდებულებას, მიმწოდებელი უფლებამოსილია ცალმხრივად არ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. უზრუნველყოს შემსყიდველისაგან მოთხოვნის შემთხვევაში მიღებული შეკვეთა-გამოძახების საფუძველზე კურიერის მივლინება დამკვეთის მისამართზე.

7.4.2. ჩაიბაროს შემსყიდველისაგან რეესტრის ერთი პირი დამოწმებული ხელმოწერით, რითაც ფიქსირდება გზავნილთა მიღება დამკვეთისაგან.

7.4.3. მომსახურება განახორციელოს მხოლოდ მას შემდეგ, როცა შემსყიდველი მიაწოდის მას გასაგზავნი გზავნილების დანართი №1 ფორმით დამოწმებულ რეესტრს.

7.4.4. უზრუნველყოს მიღებული გზავნილების დამუშავება-გადაგზავნა და შემდგომ ჩაბარება ადრესატებისათვის დროულად, დაუზიანებლად და ყველა საჭირო პროცედურების დაცვით.

7.4.5. საფოსტო გზავნილებათა ჩაბარების შესახებ შემსყიდველს დაუბრუნოს შეტყობინების ბარათები გზავნილების ადრესატზე ჩაბარების შემდეგ.

7.4.6. გზავნილი ქთბილისში მიმღებ ადრესატს გზავნილზე მითითებულ მისამართზე მიუტანოს ორჯერ (ორი დღის განმავლობაში). რაიონულ ცენტრებში გზავნილი ადრესატს მიაწოდოს ჩაბარების მხოლოდ ერთი მცდელობით.

7.4.7. გზავნილი მიმღებს ჩაბაროს შეტყობინების ბარათის სათანადო გაფორმებით, რაც ჩაითვლება გზავნილის მიღებად. მიმღების ადგილზე არ ყოფნის შემთხვევაში გზავნილი ჩაბაროს ოჯახის წევრს, ნათესაური კავშირის მითითებით (დედა, მამა და ა.შ.) პირადობის მონაცემების ჩანიშვნით. გზავნილის მიმღები ადრესატი თუ ორგანიზაცია-დაწესებულებაა, გზავნილი ჩაბაროს კომპეტენტურ პასუხისმგებელ პირს ხელისმომწერით, რაც ჩაითვლება გზავნილის მიღებად.

7.4.8. გზავნილი ჩაბაროს 7.4.7 პუნქტში აღნიშნული წესით და შეტყობინების ბარათი შეავსებინოს მიმღებ ადრესატს სათანადო ფორმით, რომელიც შემდგომში გადაეგზავნება დამკვეთს.

7.4.9. გზავნილის ვერ ჩაბარების შემთხვევაში რომელიც გამოწვეულია: ადრესატი გზავნილზე აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობს/არ მდებარეობს, მისამართი ვერ დგინდება, ადრესატი უარს აცხადებს გზავნილის მიღებაზე ან სხვა რაიმე მსგავსი მიზეზით, ფორმდება ცნობა (იხ. დანართი №4), რომელიც მაგრდება გზავნილზე და უბრუნდება შეტყობინების ბარათთან ერთად შემსყიდველს.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1 მიმწოდებლის მიერ გზავნილის ჩაბარების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი შემსყიდველს აუნაზღაურებს კონკრეტული გზავნილის გადაგზავნის ღირებულების 0,1% ჩაბარების ვადის ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.

8.2 თუ მიმწოდებლის მიერ სისტემატიურად ხდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა და პირგასამტეხლოს საერთო ღირებულებამ გადაჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს განიხილოს მიმწოდებელთან ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი;

8.3. შემსყიდველი წინამდებარე ხელშეკრულების 5.5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს უხდის პირგასამტეხლოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული მომსახურების ღირებულების 0.1%, გადახდის ვადის ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.

8.4. მიმწოდებლის მიერ გზავნილის დაკარგვის შემთხვევაში, თუ ასეთ ფაქტს ექნება ადგილი, გარდა ფორს-მაჟორისა, შემსყიდველს უნაზღაურებს გზავნილის გადაგზავნის ღირებულების ორმაგ საფასურს.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან – 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

10.2. „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, საომარი მდგომარეობა, საკანონმდებლო ცვლილებები, და ა.შ.), რომლებიც არ არსებობდა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაეღებინათ.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ასეთი გარემოებების და მათი გამოძვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ეცდება გამოიწვიოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

11.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს:

დიდგორის რაიონის გამგეობის აპარატის უფროსი – შორენა ლომია და ინსპექტირების ჯგუფი.

დიდგორის რაიონის გამგეობის სამხედრო განყოფილების უფროსიკახაბერ მხეიძე.....

11.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

11.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. დამატებითი პირობები

12.1. ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეები ვალდებული არიან შეასრულონ ხელშეკრულების შეწყვეტამდე ერთმანეთის წინაშე აღებული ვალდებულებები.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი (1,2,3,4, სულ 4 ფურცლად) მისი შინაარსისა და საგნისათვის ითვლება მის განუყოფელ ნაწილად და განიხილება მასთან ერთად.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

12.3. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.

13. კერძო ინფორმაცია

13.1. კერძო ინფორმაცია გულისხმობს მიმწოდებლის მიერ გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებულ მთელ ინფორმაციას, რომელსაც შემსყიდველი სამუშაოს შესრულების პერიოდში შეიტყობს მიმწოდებლისგან და რომლის გახმაურებაც გამოიწვევს მიმწოდებლის მატერიალურ პასუხისმგებლობას.

14. ღირებულების გადაწყვეტა

14.1 მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

14.2 თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს გზით. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. დასკვნითი დებულებები

15.1 თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15.5 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

ქ.თბილისის დიდგორის რაიონის
გაგზაობა

წყნეთი, (სტალინის)დ. ამილახვარის №27ა;

ტელ: 378731

ფაქსი: 378742

საიდენტიფიკაციო კოდი: 204521954

ს/ს „ლიბერთი ბანკი.....“

ცენტრალური ფილიალი

ანგარიშსწორების ანგარიში

GE95LB

O125152101627000

ბანკის კოდი: 220101480

გამგებელი: გიორგი ნიკოლაძე

„მიმწოდებელი“

შპს „სმარტექსი“

ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №74

ტელ: 555 500 (+200, 285, 289)

ფაქსი: 555 505 (+239)

საიდენტიფიკაციო კოდი:

202455850

სს „საქართველოს ლიბერთი ბანკის“

ცენტრალური ფილიალი

ანგარიშსწორების ანგარიში:

GE84LB

0113128100090000

ბანკის კოდი


220101480

დირექტორი: გიორგი ახალაია

შემსყიდველი



მიმწოდებელი



თარიღი

რეესტრზე ხელმოწერის თარიღი

რეესტრი №

შ.პ.ს. "სმარტქისი" საშუალებით გასაგზავნი გზავნილების შესახებ

გამგზავნი

№	ქალაქი	მისამართი	ორგან-დაწესებულების დასახელება	სახელი	გვარი	გამგზავნის წერილის (საქმის შიდა №)	გზავნილის სახეობა	გზავნილის №
1	2	3	4	5	6	7	8	9
2								
3								
4								
5								
6								
7								
8								
9								
10								
11								
12								
13								
14								
15								
16								
17								
18								
19								
20								

გაწეული მომსახურება:

ჩაბარა

სახელი, გვარი

ბ.ა.


ხელმოწერა

მიიღო

სახელი, გვარი

ბ.ა.

ხელმოწერა

 შ.პ.ს „სმარტექსი“ შეტყობინების ბარათი საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ		№ _____ გამგზავნი ფოსტის ბეჭედი <div style="border: 1px solid black; border-radius: 50%; width: 100px; height: 100px; margin: 0 auto; text-align: center; line-height: 100px;">ბ.ა.</div>
ივსება გამგზავნის მიერ	გზავნილის სახეობა: _____ შეფასება: _____ ლარი გაგზავნის თარიღი: _____ საქმის ნომერი: _____ გზავნილის გამგზავნი: _____ <small>გვარი, სახელი, მამის სახელი ან ორგანიზაცია-დაწესებულების დასახელება</small>	<div style="border: 1px solid black; width: 40px; height: 20px; margin-bottom: 5px;"></div> <small>საფოსტო ინდექსი</small>
	გზავნილის მიმღები: _____ <small>გვარი, სახელი, მამის სახელი ან ორგანიზაცია-დაწესებულების დასახელება</small>	<div style="border: 1px solid black; width: 40px; height: 20px; margin-bottom: 5px;"></div> <small>საფოსტო ინდექსი</small>
	გზავნილი ჩაბარდა: _____ <small>გვარი, სახელი</small> <small>ხელმოწერა</small> <small>თარიღი</small>	<div style="border: 1px solid black; width: 40px; height: 20px; margin-bottom: 5px;"></div> <small>საფოსტო ინდექსი</small>
	მინდობილი პირი/თანამდებობა _____ პირადი ნომერი: _____ ორგანიზაციის ბეჭედი: _____ ბ.ა.	<div style="border: 1px solid black; width: 40px; height: 20px; margin-bottom: 5px;"></div> <small>საფოსტო ინდექსი</small>
გზავნილის გამცემი ფოსტის _____ მუშაკის ხელმოწერა: _____ ბეჭედი: _____ ბ.ა.		<div style="border: 1px solid black; width: 40px; height: 20px; margin-bottom: 5px;"></div> <small>საფოსტო ინდექსი</small>

 შ.პ.ს „სმარტექსი“ შეტყობინების ბარათი საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ		№ _____ გამგზავნი ფოსტის ბეჭედი <div style="border: 1px solid black; border-radius: 50%; width: 100px; height: 100px; margin: 0 auto; text-align: center; line-height: 100px;">ბ.ა.</div>
ივსება გამგზავნის მიერ	გზავნილის სახეობა: _____ შეფასება: _____ ლარი გაგზავნის თარიღი: _____ საქმის ნომერი: _____ გზავნილის გამგზავნი: _____ <small>გვარი, სახელი, მამის სახელი ან ორგანიზაცია-დაწესებულების დასახელება</small>	<div style="border: 1px solid black; width: 40px; height: 20px; margin-bottom: 5px;"></div> <small>საფოსტო ინდექსი</small>
	გზავნილის მიმღები: _____ <small>გვარი, სახელი, მამის სახელი ან ორგანიზაცია-დაწესებულების დასახელება</small>	<div style="border: 1px solid black; width: 40px; height: 20px; margin-bottom: 5px;"></div> <small>საფოსტო ინდექსი</small>
	გზავნილი ჩაბარდა: _____ <small>გვარი, სახელი</small> <small>ხელმოწერა</small> <small>თარიღი</small>	<div style="border: 1px solid black; width: 40px; height: 20px; margin-bottom: 5px;"></div> <small>საფოსტო ინდექსი</small>
	მინდობილი პირი/თანამდებობა _____ პირადი ნომერი: _____ ორგანიზაციის ბეჭედი: _____ ბ.ა.	<div style="border: 1px solid black; width: 40px; height: 20px; margin-bottom: 5px;"></div> <small>საფოსტო ინდექსი</small>
გზავნილის გამცემი ფოსტის _____ მუშაკის ხელმოწერა: _____ ბეჭედი: _____ ბ.ა.		<div style="border: 1px solid black; width: 40px; height: 20px; margin-bottom: 5px;"></div> <small>საფოსტო ინდექსი</small>

